ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01171733121**

თარიღი: **22.06.2017**

ადრესატი:
მარიგა კორძაძე
პირადი ნომერი: 01019071965
მისამართი: შარტავას 40

ქალბატონო მარიგა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01171491479-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ს-19/01171491479-17

"22" 06 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, (სექტორი –კრწანისი), პუშკინის ქ. №3-ში (საკ. კოდი №01.18.03.018.036) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3278052 24.05.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ (სექტორი –კრწანისი), პუშკინის ქ. №3-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ნაწილობრივ შეცვლილია კედლების მასალები (ბლოკის და მონოლითური კედლები არქიტექტურულ პროექტში ასახულია ერთიდაიგივე ფაქტურით). შენობაში დამატებულია კონდიციონერები (ფასადი: ნიშნული -3.00, 5-1 მონაკვეთი), ღიობები, ჰაერგამწოვი, წყალშემკრები და საკომუნიკაციო მილები. კიბის უჯრედში შეცვლილია საფეხურების რაოდენობები. +13.30, +16.90 და +20.50 ნიშნულებზე 1-1 ღერძთან ე-ა მონაკვეთში კედლების კონფიგურაცია და ზომები არ შეესაბამება პროექტში ასახულს.
ნიშნული -3.00: 3-2 მონაკვეთში დამატებულია ღიობი (ფასადის მხრიდან შევსებულია მსუბუქი კონსტრუქციის ფირფიტებით). შეცვლილია სამანქანო კარისთვის განკუთვნილი ღიობის გაბარიტი (გაზრდილია).
ნიშნული ±0.00: 7-7 ღერძთან (+1.60 ნიშნულზე) გაუქმებულია მცირე კოლონა. 2-3 მონაკვეთში გ-გ ღერძზე შემცირებულია კოლონებს შორის მანძილი.
ნიშნული +27.66: ა-ზ მონაკვეთში მოაჯირს შეცვლილი აქვს მდებარეობა, რის ხარჯზეც გაზრდილია ტერასის ფართი.
ნიშნული +31.80: შეცვლილიია ტექნიკური დანადგარებისთვის განკუთვნილი კაპიტალური ნაგებობის სიმაღლე (შემცირებულია).
1-12 ფასადი: ა-ა ღერძის გარეთ 7-12 მონაკვეთში დამატებულია პანდუსები. ±0.00 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრების გაბარიტები(შემცირებულია). 1-3 მონაკვეთში და +5.50 ნიშნულზე განთავსებულია სარეკლამო აბრები.
12-1 ფასადი: ±0.00 ნიშნულზე 4-4 ღერძთან ღიობებში მოწყობილია რკინის გისოსები.
ა-ზ ფასადი: ±0.00 ნიშნულზე ზ-ზ ღერძთან განთავსებულია რეკლამები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ვ.ვ.ვ."-ს, შპს „ლიტ ჯეო ინვესტი"-ს, სს „მე-11 შერეული ტიპის პოლიკლინიკა"-ს, ქ. თბილისში, (სექტორი –კრწანისი), პუშკინის ქ. №3-ში (საკ. კოდი

№01.18.03.018.036) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01171491479-17 29.05.2017წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე